ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის
ოქმი №4

დაბა ქედა,

24 ივნისი, 2026 წელი.

სხდომა დაიწყო: 11:30 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 11:45 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
ამირან დევაძე - კომისიის წევრი;
მერაბ ტაკიძე - კომისიის წევრი;
ჯამბულ შარაბიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;
საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნესტან ბერიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტუქტურის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

24.06.2026 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
3	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
4	ამირან დევაძე	კომისიის წევრი	
5	მერაბ ტაკიძე	კომისიის წევრი	
6	ჯამბულ შარაბიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წერიგი:

1. **ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“ - ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა;**

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერიძე

2. **საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის განხილვა - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეებში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დაზუსტების თაობაზე;**

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერიძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა.**

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერიძე

1. **მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2026 წლის 23 ივნისს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად შემოვიდა (განცხადების ნომერი: 13/95261741-95; განცხადების თარიღი:23.06.2026) ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“ - ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“ - ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განხილულ იქნას ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“ - ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

2. **მოისმინეს:** მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 05 ივნისს შემოვიდა (წერილის ნომერი:113154; წერილის თარიღი: 05.06.2026; ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული განცხადების ნომერი:06-95261562-95; განცხადების თარიღი: 05.06.2026); სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეებში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დაზუსტების თაობაზე.

გადამოწმების საფუძველზე კომისიამ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას. კერძოდ, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 მაისის №გ-95.95261494 განკარგულებით, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინჯაძეების უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს მიენიჭა სახელწოდება „მე-8 ქუჩის I ჩიხი". სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომართვის საფუძველზე გაირკვა, რომ აღნიშნული სახელწოდების ქუჩა უკვე რეგისტრირებულია, რამაც გამოიწვია სახელწოდების დუბლირება.

ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარე, აღნიშნულ ქუჩას უნდა მიენიჭოს „მე-8 ქუჩის II ჩიხის" სახელწოდება, რის გამოც ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს 2026 წლის 29 მაისის №გ-95.95261494 განკარგულება.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

1. საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეების" მე-8 ქუჩის II ჩიხი" დანართი 1 -ის (ორთოფოტო) შესაბამისად;

2. დაევალოს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს შესაბამისი ინდივიდუალური - სამართლებრივი განკარგულების პროექტის ინიციირება.

3. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შემოწმება - მონიტორინგი	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	შპს ,,ქედის წყალკანალი"- ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს ქედის წყალკანალი - ს დირექტორი
3	საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის მეოთხე კვარტალის სამუშაო გეგმა	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს ბიუროს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

დამტკიცებულ იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 11:45 საათზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: **ლევან ბერიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **ნესტან ბერიძე**